ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N42

20 ოქტომბერი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
12:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
ა. ლაშხი, გ. გოცირიძე, ე. კუხიანიძე, ვ. ოთარაშვილი, ვ. ძნელაძე, მ. დარჩია.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:
1. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით რურუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:
1. თინათინ რუხაძე - ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი;
2. ლევან დვალი - ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბატონი ვლადიმერ ძნელაძე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის 2020 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვა.

   მომხსენებელი: ქალბატონი თინათინ რუხაძე
   თანამდებობა: ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი.

კომისიის თავმჯდომარეობის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ვლადიმერ ძნელაძე მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცა კომისიის წევრებმა.

მოისმინეს:

ბატონმა ვლადიმერ ძნელძემ განმარტა, რომ მიმდინარე სხდომა არის გაერთიანებული საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასთან და განიხილავენ ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელსაც სასახლის დირექტორი ქალბატონი თინათინ რუხაძე წარმოადგენს.

ქალბატონმა თინათინ რუხაძემ, მადლობა გადაუხადა კომისიებსა და სხდომის მონაწილეებს ქვეყანასა და მსოფლიოში პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის მიუხედავად, ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ანგარიშის განსახილველად სხდომის გამართვისთვის. მისი განმარტებით, ისევე როგორც, მთელი სამყაროსთვის, სასახლისთვისაც ძალიან რთული აღმოჩნდა პანდემიური ვითარება, ვინაიდან წლის დასაწყისში ხელმძღვანელობა იმედოვნებდა მრავალი ღონისძიების განხორციელებას. აღნიშნულის მიუხედავად, მოძიებულ იქნა მრავალი რესურსი და მიმდინარე წლის 1 მარტიდან, უკვე დისტანციური სწავლება დაიწყო, რაშიც სასახლის ღვაწლმოსილი ასაკოვანი პედაგოგებიც აქტიურად ჩაერთვნენ. ქალბატონი თინათინის თქმით, წლის დასაწყისში, იანვარში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სერვისებს იღებდა 4700 მოსწავლე.

ქალბატონი თინათინ რუხაძის თქმით, სასახლემ დაიწყო მოსწავლეთა დისტანციურ რეჟიმში რეგისტრაცია ელექტრონული პორტალის მეშვეობით. მისი თქმით, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ 2020-2021 სასწავლო წელი დაიწყო 1296 დარეგისტრირებული მოსწავლით, რომელთა შორის, არიან 250 არის სოციალურად დაუცველთა ოჯახებიდან და ამით შეივსო ქალაქ თბილისის მერიის სოციალურად დაუცველთა კვოტა. სასახლის დირექტორის ინფორმაციით, გასულ წლებში მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს საკუთარი შემოსავლებით შეეძლო 1800-მდე სოციალურად დაუცველ მოსწავლეს მომსახურებოდა.

ქალბატონმა თინათინმა საუბარი გააგრძელა ეროვნული სასახლის შენობის რეაბილიტაციის შესახებ და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე, პანდემიის მიუხედავად, ქალაქის მერიისა და საკრებულოს ერთობლივი გადაწყვეტილებით შეუფერხებლად გამოცხადდა ტენდერი, რადგან მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. სასახლის დირექტორის თქმით, შენობა ათობით წლის განმავლობაში სავალალო მდგომარეობაში იყო, ამიტომაც უსაფრთხოებისთვის, მოეწყო სახანძრო უსაფრთხოების სისტემა, გამოიცვალა ელექტროობა, რაც ბუნებრივია, რეაბილიტაციისთვის საკმარისი არ იყო. ქალბატონი თინათინ რუხაძის განმარტებით, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრები ჩართულნი არიან სასახლის რეაბილიტაციის პროცესში და ბიუჯეტის შედგენისას ეცნობიან მის პარამეტრებს. სასახლის დირექტორის

ინფორმაციით, ზაფხულში კონტრაქტორმა კომპანიამ უკვე დაიწყო სამუშაოები. მის უკან მდებარე შენობები, ე.წ. მეორე - სასწავლო, და მესამე - სასაწყობო, ნაგებობები მთლიანად დაიცალა ზაფხულშივე; საწყობი სრულად დაიშალა, რომლის ადგილას მოეწყობა თანამედროვე ტიპის სათავსო. ქალბატონი თინათინ რუხაძის თქმით, ის უშუალოდაა ჩართული შენობის რეაბილიტაციის პროცესში და ყოველდღიურად ადევნებს თვალ-ყურს მიმდინარე სამუშაოებს. მისი განმარტებით, პირველი შენობის ერთ-ერთი ფლიგელს, რომელიც პირველი რესპუბლიკის ბაღს ემიჯნება, უკვე უტარდება გამაგრებითი სამუშაოები და იცვლება სადრენაჟო სისტემა. მანვე მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს, თბილისის მერიასა და თბილისის განვითარების ფონდს, რადგან სასახლის აღნიშნულ ტერიტორიაზე, არცერთი წამით არ შეჩერებულა სამუშაოები.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორმა აღიშნა, რომ ძალიან ბევრი, განსაკუთრებით კი, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ, ამიტომ სასახლის ხელმძღვანელობამ პანდემიის პირველივე დღეებიდან გადაწყვიტა, რომ თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი დისტანციურ რეჟიმზე გადაეყვანა. დაიწყო ვიდეო რგოლებისა და მუსიკალური კომპოზიციების დისტანციურად ჩაწერა. დავით ალადაშვილთან თანამშრომლობით, ორშაბათ და ხუთშაბათ საღამოს ეწყობა პირდაპირი ჩართვა საზოგადოებრივ მაუწყებელზე მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლიდან, რათა ახალგაზრდების აქტივობები არ შეჩერებულიყო და სასწავლო პროცესისადმი ინტერესი არ დაეკარგათ. იმის გარდა, რომ კონცერტები დისტანციურად ტარდებოდა, მთელი პანდემიის პერიოდში მოსწავლეებს შეეძლოთ ინდივიდუალურად ემეცადინათ, მხატვრებს კი ემუშავათ საკუთარ ნახატებზე სასახლის ბაღში. ქალბატონი თინათინის თქმით, სასახლის ყველა თანამშრომელი მონდომებული იყო, რომ ღონისძიებები შეუჩერებლივ გაგრძელებულიყო. შედეგად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში - 54, მეორე კვარტალში - 64, მესამე კვარტალში კი - 42 ღონისძიება ჩატარდა.

ქალბატონმა თინათინ რუხაძემ ასევე აღნიშნა, რომ 2020 წლის სექტემბერში გაიმართა თბილსის საფორტეპიანო ფესტივალი; წელს კინოფესტივალი „თაობა“ ევროპის კინოასოციაციის წევრი გახდა და ბერლინალეს ეგიდით, იანვარ-თებერვალში მონაწილეობა მიიღო ევროპულ კინო განათლებაში ქალაქ ბერლინში. აღნიშნულ კინო-აკადემიაში 300-მდე ახალგაზრდა არის გაწევრიანებული და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობენ, რაც შესაძლებლობების რეალიზებაში ეხმარებათ. სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემ სხვადასხვა სივრცეში დაახლოებით 16 კინოჩვენება ჩაატარა. ამას გარდა, ჩატარდა კინო-ფესტივალი „თაობა“. ასევე, სიმფონიური, კლასიკური მუსიკისა და კამერული კონცერტები; ამასთან, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე დაეხმარა საგუნდო ფესტივალს, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას, რის ფარგლებშიც, სახელმწიფო გამოცდებიც სასახლის ტერიტორიაზე ტარდებოდა.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელმძღვანელის თქმით, მშობლებმა თხოვნით მიმართეს სასახლეს, რომ მოსწავლეებს, რომელთაც გაუჭირდათ პანდემიის პერიოდში სახლში ყოფნა, შესაძლებლობა მისცემოდათ ღონისძიებებში ჩართულიყვნენ. შედეგად, სასახლე გეგმავს ხატვის, ფოტო გადაღების, ავია-მოდელირების, აუდიო-ვიზუალური ხელოვნების კურსების ჩატარდებას, რომლებზეც ძალიან დიდი მოთხოვნაა მოსწავლეებს შორის. მაგალითად, ავია-მოდელირების წრე ლისის ტბაზე გაიხსნება, დისტანციურ რეჟიმში. მიმდინარე პერიოდში, მსჯელობა შეეხო მეთოდურ განათლებასაც, რომელშიც მონაწილეობდნენ სასახლის ფსიქოლოგები.

ქალბატონმა თინათინ რუხაძემ ასევე აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის კათედრასთან თანამშრომლობით, იგეგმება მნიშვნელოვანი მეთოდური ცვლილებების განხორციელება, რადგან დისტანციური სწავლება მომავალშიც გაგრძელდება. წლის ბოლომდე კიდევ ერთი ფესტივალი „თაობა“ გაიმართება, რომელსაც გიორგი გიგაშვილი, სანდრო გეგეჭკორი, სანდრო ნებიერიძე და ეროვნული სასახლის სხვა კურსდამთავრებულები გაუწევენ ორგანიზებას. ასევე, ვინაიდან 2020 წელს გერმანელი კომპოზიტორის, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის 250 წლის იუბილეა, სასახლის ორკესტრმა რამდენიმე კონცერტი ეროვნული სასახლის ბაღში ჩაატარა, რომელიც პირდაპირ ეთერშიც გადაიცა; ამასთან, მომავალშიც დაგეგმილია რამდენიმე სიმფონიური და საფორტეპიანო კონცერტის ჩატარება ახალგაზრდებთან ერთად, პროექტზე სასახლის 40-მდე მოსწავლე მუშაობს.

ქალბატონი თინათინ რუხაძის ინფორმაციით, მიმდინარე წელს, ფსიქოლოგებისა და მეთოდისტების ჩართულობით, მასწავლებლებისთვის არაერთი ტრეინინგი ჩატარდა. მეთოდური განახლება დაიწყება აგრეთვე სამოქალაქო, ტექნიკური და განათლების სხვა მიმართულებებით. ქალბატონმა თინათინმა აღნიშნა, რომ სასახლის გარეგნული რეაბილიტირების გარდა, საჭიროა შინაგანი და შინაარსობრივი მომზადებაც იმ გამოწვევებთან გასამკვლავებლად, რაც ზოგადად, განათლებისა და მით უფრო, არაფორმალური განათლების სფეროშია. სასახლის ხელძღვანელის თქმით, საჭიროა, რომ ეროვნული სასახლე ფეხდაფეხ მიჰყვეს გამოწვევებს და საშუალება მისცეს ახალგაზრდებს, რათა საკუთარი ადგილი იპოვნონ ტექნოლოგიების ერაში და მოახერხონ შესაძლებლობების გამოვლენა. შესაბამისად, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ბევრად მეტს ისახავს მიზნად და დისტანციურ რეჟიმშიც კი, აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, დედაქალაქის საკრებულოსა და მერიასთან, სხვადასხვა უწყებასა და საგანმანათლებო დაწესებულებასთან, ასევე, უცხოელ კოლეგებთან. სასახლე ატარებს კულტურის დიპლომატიის აკადემიას, რომელსაც კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონ თამარ ტალიაშვილიც ძალიან ხშირად ესწრება. წლიდან წლამდე, მასზე დასასწრებად მაღალი დონის ექსპერტები ჩამოდიან საქართველოში. წელს აღნიშნული

ღონისძიება კვლავ ჩატარდება, მაგრამ შექმნილი ვითარების გავალიწინებით, დისტანციურ რეჟიმში.

ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ მადლობა გადაუხადა ქალბატონ თინათინ რუხაძეს ამომწურავი ინფორმაციისა და გაწეული საქმიანობისთვის პანდემიის პირობებში და სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში გააგრძელა.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ მადლობა გადაუხადა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორს და აღნიშნა, რომ ძალიან რთულია მსგავს ვითარებაში ღონისძიებების ჩატარება. დეპუტატის თქმით, სასიხარულოა, რომ კვლავ გრძელდება სასახლის რეაბილიტაცია, რადგან პანდემიის გამო, იყო საშიშროება, სამუშაოები შეჩერებულიყო. დეპუტატის თქმით, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე არ არის მხოლოდ სასწავლო-საგანმანათლებლო სივრცე, ის ისტორიული სივრცეა და ძალიან მნიშვნელოვანია რეაბილიტაციის დასრულება. ქალბატონი მარიკა დარჩია დაინტერესდა, თუ როგორ გრძელდება ქორეოგრაფიული მიმართულებით საქმიანობა, რომელიც ყოველთვის პრიორიტეტული იყო სასახლისთვის.

ქალბატონმა თინათინ რუხაძემ აღნიშნა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს ორი დარბაზი მოაკლდა, სადაც ქორეოგრაფიული წრეები ფუნქციონირებდა. დირექტორის განმარტებით, თუ ადრე სასახლის მოსწავლეთა 1/4 ქორეოგრაფიაზე სწავლობდა, პანდემიის პირობებში, სტატისტიკით, ტექნიკური მოდელირების წრეებზე გაიზარდა მოთხოვნა და პრაქტიკულად, ქორეოგრაფიით დაინტერესება 90%-ით შემცირდა. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ ყველაფერი გააკეთა, რომ ქორეოგრაფიულ წრეებზე მოსწავლეთა რაოდენობები, შეძლებისდაგვარად, შენარჩუნებულიყო, მაგრამ დღეს, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, წრეები ერთ სივრცეში 10-12 მოსწავლეზე მეტს ვერ იღებენ. ამ დროისთვის, სასახლის შიგნით 5 ქორეოგრაფიული ანსამბლი და საბალეტო სტუდიაა. ქალბატონი თინათინ რუხაძის ინფორამციით, საქართველოში მოსწავლეთა ასეთი რაოდენობა, არცეთ დროს არცერთ სხვა საგანამანათლებო ორგანიზაციას არ ჰყოლია. ამიტომ, სასახლემ ყურადღება ფესტივალებზე; კინო, თეატრალურ, მუსიკალურ, სახელოვნებო და სხვა აქტივობებზე გადმოიტანა. მანვე აღნიშნა, რომ მუსიკალური სკოლების პედაგოგებს, 2000-მდე მასწავლებელს, პანდემიის პირობებში, როდესაც პედაგოგები ფაქტიურად არ მუშაობენ, მაინც უნარჩუდებათ საბაზისო ხელფასი, რისთვისაც მადლობა გადაუხადა დედაქალაქის მერიასა და საკრებულოს მიღებული გადაწყვეტილებისთვის.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში დაიხურა ხალხური საკრავების წრე,

რომელსაც ცნობილი ხელოვანი, ბატონი ზაურ მერაბაშვილი ხელმძღვანელობდა. იგი ბავშვებს ასწავლიდა დუდუკის, ჭიანურისა და სხვა ხალხური საკრავების დაკვრას და აგრეთვე აქვს ჩარხი-დანადგარები და დაზგები, რომელთა მეშვეობითაც ხალხურ საკრავებს ამზადებს. ბატონი ვაჟა ოთარაშვილსი თქმით, უხერხულია აღნიშნული წრის დახურვა, მაშინ როდესაც მუდმივადაა საუბარი კულტურის სახელმწიფო პოლიტიკასა და ხალხური სიმღერის განვითარებაზე. დეპუტატი ასევე, დაინტერესდა, ქართული მწერლობის პოპულარიზაციის კუთხით, სასახლის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. კომისიის წევრის განმარტებით, სამწუხაროდ მოდის თაობა, რომლის ნაწილსაც არ გააჩნია საქართველოს ისტორიის ელემენტარული ცოდნა, რასაც სხვადასხვა ტელევიზიისა და ექსპერტების გამოკითხვებიც ადასტურებს.

ქალბატონმა თინათინ რუხაძემ მადლობა გადაუხადა ბატონ ვაჟა ოთარაშვილს შეკითხვისთვის და განმარტა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ფოლკლორის მიმართულებას ხელმძღვანელობდა და დღესაც ხემლძღვანელობს ბატონი თემურ ქევხიშვილი და გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად არ იღებს და ეყრდობა მიმართულების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებებსა და მოსაზრებებს. მისი განმარტებით, ბატონი ზაურ მერებაშვილის ჯგუფზე მოსწავლეთა მხრიდან დაბალი მოთხოვნა იყო, სტატისტიკით ძალიან დაბალი იყო აღსაზრდელთა რაოდენობა. ქალბატონმა თინათინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წესი ყველა პედაგოგისთვის ერთია - მოსწავლე უნდა იყოს დარეგისტრირებული.

სასახლის დირექტორმა აგრეთვე განმარტა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში არ დახურულა ხალხურ საკრავთა წრე და ფოლკლორის მიმართულებით აქტიურად გრძელდება მუშაობა. ფუნქციონირებს რამდენიმე ანსამბლი, მათ შორის, ცალ-ცალკეა ხალხურ საკრავთა, ბიჭუნათა, გოგონათა, საკრავებისა და სიმღერის ანსამბლები.

ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებასთან დაკავშირებულ კითხვაზე ქალბატონმა თინათნ რუხაძემ განმარტა, რომ ეროვნულ სასახლეში ტარდება არაერთი ღონისძიება ქართული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლების იუბილეების აღსანიშნავად, რომლებშიც მრავალი მოსწავლე მონაწილეობს. ბავშვები, რომლებიც სასახლეში უცხო ენების - ინგლისური, ესპანური, რუსული და სხვა. შემსწავლელ ჯგუფებში არიან, უცხოურ ენებს სწავლობენ საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის მაგალითზე. ქალბატონმა თინათინმა ასევე, განმარტა, რომ ქართული ენა, ლიტერატურა და ფოლკლორი ეროვნული სასახლის უფასო წრეებზე ისწავლება, რომელსაც ასობით მოსწავლე ჰყავს. ეროვნულ სასახლეში გახსნილია შესაბამისი კლუბებიც, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები დადიან ექსკურსიებზე, ისმენენ თემატურ ისტორიებს. აგრეთვე, სასახლეში იმართება საჯარო ლექციები, რომლებსაც უძღვებიან ლიტერატურის თანამედროვე ქართველი წარმომადგენლები, იმართება

წიგნების პრეზენტაციებიც. ამ თავყრილობებზე დასწრების საშუალება არაერთხელ ჰქონია თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წარმომადგენლებსაც, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ სასახლეს. ქალბატონმა თინათინმა ასევე მიაწოდა სხდომის მონაწილეებს ინფორმაცია, რომ სასახლის ბიბლიოთეკაში გასულ დღეს შეიტანეს ახალი წიგნები, რომ დისტანციური სწავლებისას მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში, ბიბლიოთეკიდან გაიტანონ მხატვრული ან თანამედროვე ლიტერატურა.

სხდომის თავმჯდომარე, ბატონი ვლადიმერ ძნელაძე დაინტერესდა, გეგმავს თუ არა ეროვნული სასახლე ცალკეული ღონისძიებების ღია სივრცეებში გამოტანას, რაზეც ქალბატონმა თინათინ რუხაძემ აღნიშნა, რომ სასახლემ უკვე ჩაატარა ცალკეული ღონისძიებები ამ ფორმატით.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ავთანდილ ცინცაძემ მადლობა გადაუხადა მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის წარმომადგენლებს გაწეული სამუშაოსა და ანგარიშის წარდგენისთვის. მისი თქმით, ეროვნული სასახლე მართლაც მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს მომავალი თაობისთვის და არა მარტო მისთვის. ამასთან, სასახლე მცდელობას არ აკლებს, რომ პანდემიის გამო შექმნილ სიტუაციაში, სრულად დაიცვას სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულაციები, რაც მისასალმებელია.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია ძალიან აქტიურია და ყოველთვის აწვდის ინფორმაციას მის წევრებს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კომისიას აქვს ძალიან კარგი სოციალური პლატფორმა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
თინათინ რუხაძემ, მარიკა დარჩიამ, ვაჟა ოთარაშვილმა, ვლადიმერ ძნელაძემ, ავთანდილ ცინცაძემ.

განათლებისა და კულტურის კომისიამ ცნობად მიიღო ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მიერ 2020 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
ვლადიმერ ძნელაძე ----------